



სოფელ მთისპირში, ციხისუბანში, ასკანის ბენტონიტური თიხების მოპოვება 1946 წელს, აკადემიკოს ალექსანდრე თვალჭერელიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. კარიერზე თავდაპირველად თიხის მოპოვება მდაროში ხდებოდა, ხოლო შემდეგ გადავიდნენ ლა მოპოვებაზე.

ერთ-ერთი პირველი სამთიელი მთისპირელი დავით შარაშიძე იყო, რომელმაც გასული საუკუნის 30-იან წლებში კავკასიონზე, მცხეთა-მთიანეთის რაიონში, ცნობილი მტეხოსადგურის აუტო.

1944 წელს, როდესაც დავით შარაშიძე ალიონს ვაფარაძესთან

გურიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ დარგს, ბენტონიტური თიხების მოპოვება-გადამუშავებას ახალი პერსპექტივები გაუჩნდა. შპს „ასკანგელ ალიანს“ წიაღისეულის ეროვნულმა სააგენტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში, ციხისუბანში, ბენტონიტური თიხის მოპოვების მიზნით ლიცენზია გადასცა. ლიცენზიის პირობებით 2 წლის განმავლობაში 150 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ლიცენზიის პირობები მთიანეთისა და მიმდებარე სოფლებისთვის სხვა მნიშვნელოვან პროექტებს ითვალისწინებს.

ოზურგეთელი სამთიელების წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ცნობილ ბიზნესმენს და მეცენატს, ოზურგეთის საპატრიარქოს მთავარს, ასკანელ გიორგი ნაჭვებიას, რომელმაც შეძლო თანხების მოძიება დაწყებული საქმის გასაგრძელებლად. უშუალოდ მისი ძალისხმევით შეიძინეს გერმანიაში თანამედროვე დანადგარები, რომელიც უზრუნველყოფს ახალ ქარხანაში მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას.



ერთად უშაზე ასასვლელად ემზადებოდა, ალექსანდრე თვალჭერელიძის თხოვნით სოფელ მთისპირში ჩავიდა და სამთი-საძიებო პროცესებში ჩართო, ხოლო კარიერის განხილვას შემდეგ იგი აქ უნნის უფროსად მუშაობდა. სამთიელი გახლდათ მისი მეუღლე, ქალბატონი

ლუიზა ნაჭვებია, რომელიც ასკანის თიხის კარიერის მთისპირის ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა. ოზურგეთის მდაროთა სამმართველო ერთ-ერთი ძლიერი საწარმო იყო გურიაში. მდაროელებს განსაკუთრებული წარმატებები გასული საუკუნის 70-იან 80-იან წლებში

პქონდა, როცა ყოველწლიურად 120 ათასი ტონა სხვადასხვა სახის მაღალი ხარისხის თიხა იგზავნებოდა ყოფილი სსრკ-ს მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ ქარხნებშიაქაურ თიხას იყენებდნენ ლენინის წარმოებაში, სხვა დარგებში. ქარხანას იმ დროს თეიმურაზ




## ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი თ ი კ უ რ ი გა ზ ე თ ი .  
 ყოველკვირეული გამოსვლა. № 19 (10264) 14 მაისი, 2018 წ. ფასი 60 თეთრი.

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

### ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წელი იწვევს



**ალიონი.** 9 მაისს ოზურგეთში, გმირთა მოედანზე ფაშიზმზე გამარჯვების 73-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას უამრავი ოზურგეთელი დაესწრო, მათ შორის მხოლოდ 7 იყო მერე მსოფლიო ომის მონაწილე, დანარჩენები სამწუხაროდ, აღარ არიან ცოცხლები. აგიზგიზებული მარადიული ცეცხლის ფონზე, ღონისძიების მონაწილეებმა, მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს მემორიალი.

სიტყვებით მიმართეს და ვეტერანებს გამარჯვების დღე მიულოცეს გურიის გუბერნატორმა მერაბ ჭანუყვაძემ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილე ირაკლი სირაძემ. როგორც მერაბ ჭანუყვაძემ განაცხადა, ბიზნესმენი ტარიელ თავიშვილი თავის კერძო კლინიკაში, მთელი წლის განმავლობაში, ყველა სახის უფასო სამედიცინო გამოკვლევებს ჩაუტარებს გურიაში მცხოვრებ მერე მსოფლიო ომის მონაწილეებს.

### წყალსაბატანებელი თუ წყალს აღლმებილი მილიონები?

რომ არა „ორიონი“, იმ თანხით, რაც შუამოქმედის წყალსადენის მშენებლობაზე დაიხარჯა, ორი ონი აშენდებოდა

#### თემატიკური მარჯანიშვილი

– თქვენ რაც გინდათ, იმას ხედავთ, რაც არ გინდათ ვერა, 2005 წელს შემოქმედის წყლის სათავე ნაგებობაზე 10 მილიონი დაიხარჯა, ის იკითხეთ? – აგებინეთ მერე პასუხი ვინმეს? გამოვცხადებთ და გამოვთხოვთ ამაზე პასუხი. ეს რა მიდგომაა, მე თუ გავუფუჭებ, თქვენც უნდა გააფუჭოთ?!.. განსოვით, ალბათ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 30 აპრილის რეგარე სხლომაზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ლურჯაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატის დავით მგაფანაძის ერთმანეთისაღმდეგ საკმაოდ ხმაურიანი წაძახილ-წამომახილი, როცა სოფელ ჯუმათის წყალსადენზე არსებული მდგომარეობის შესასწავლად ოპოზიციამ სპეციალური კომისიის შექმნა მოითხოვა.



– ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო განმარტებელი – „ორიონი“, თუ სწორად ვამბობთ, „სმუ ინვესტიციის“ შეიღობილი კომპანია, რომელმაც მანამდე ვერ შეასრულა წინა ორი – ბათუმის წყალსადენისა და ქობულეთის სანიადგურ სისტემის პროექტები. თავის დროზე, როცა შემოქმედის წყალსადენსაც იგივე ბედი ეწია, ვწერდით: „რომ არა „ორიონი“, იმ თანხით, რაც შემოქმედის წყალსადენის მშენებლობაზე დაიხარჯა, ორი ონი აშენდებოდა“.

„რამდენადაც მასსოვს, შემოქმედის წყალსადენის პროექტი

ხორციელდებოდა წინა ხელისუფლების პერიოდში, თუ არ ვცდები, 2004-2007 წლებში. ეს იყო ახალგაზრდა გუბერნატორი ფანი კალანდამის ერთ-ერთი პირველი საქმე, საბუშაოები მიხეილ სვიმონიშვილის გუბერნატორობის პერიოდშიც მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის პროცესში იყო რაღაც დარღვევები, მაგალითად, შემოქმედში ერთხელ მთავარი მილი დაზიანდა, რომელიც ოპერატიულად შეკეთდა, ყველაფერი განხორციელდა პროექტის მიხედვით. უკვე ახალი ხელისუფლების დროს, 2013 წელს სტიქიამ დაზიანა



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ლირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ლირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამელოვიანო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**  
 რედაქციის  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani@rambler.ru  
 558 499100  
 საინფორმაციო სამსახურის  
 ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
 tem52@mail.ru  
 599 373515  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოქმებათი ალიონზე  
 «ალიონით»

## ვეტერანებს პენსია გაუორმაგდებათ



პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ, შესაბამისად, მისი გადაწყვეტილებით, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს პენსია ორჯერ გაეზრდება. ამის შესახებ პრემიერმა 10 მაისს გამართულ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. „გუშინ, 9 მაისს გამარჯვების“

### საჯარო მოხელეთა უსაფასოებლად, საპენსიო სფეროსა და კვალიფიკაციის კურსები, უსაძლოა, ფინანსთა სამინისტროს დონორმა ორგანიზაციამ დააფინანსოს

ახალი კანონი საჯარო სამსახურის შესახებ ითვალისწინებს საჯარო მოხელეთა შეფასებებს. საერთოდ, ბიუჯეტის 1% უნდა დაიხარჯოს სპეციალისტთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით, მაგრამ, თანხების დაზოგვის მიზნით, მოლაპარაკების საფუძველზე, ოზურგეთის თვითმმართველობის საჯარო მოხელეთა შესაფასებლად, სპეციალისტთა სწავლებისა და კვალიფიკაციის კურსები, შესაძლოა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს რომელიმე დონორმა ორგანიზაციამ დააფინანსოს. ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელმა ნანა თავდუმაძემ გასულ ხუთშაბათს 10 მაისს უთხრა. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტები, გვემავს შეკრებებს საჯარო მოხელეთა შუალედური და წლის საბოლოო შეფასებებისათვის. საჯარო სამსახურების ბიუროს მიერ შემოწმებულია შეფასების სარეკომენდაციო სისტემა. საკრებულოში უკვე მოქმედებს შეფასებების წესი ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით, მაგრამ იმისათვის, რომ ეს რთული პროცესი სრულყოფილად და ობიექტურად ჩატარდეს, უნდა გქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამ მიზნით დაგეგმილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და ვინავეთ მისმა მალაკვალიფიციურმა ტრენერებმა ჩაგვიტარონ შესაბამისი შესაბამისი სწავლების კურსი. საჭიროებების მიხედვით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 1% უნდა დაიხარჯოს, სპეციალისტთა სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. რასაკვირველია, ვცდილობთ, დავზოგოთ ეს თანხები და ამ შემთხვევაში საქმეს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა, ფინანსთა სამინისტრომ თავის რომელიმე დონორს დააფინანსებინოს მთელი ეს პროცესი“.

## თურქეთის ელჩი სეზონურ სამუშაოზე საქართველოს მოქალაქეთა დასაქმების უსახე კომენტარს აკეთებს



გვინდა, რომ ეს სამუშაო რეგისტრირებული გახდეს და ის ადამიანები, რომლებიც საქართველოდან თურქეთში სეზონურ სამუშაოზე მიდიან, კანონით იქნებან დაცულები, - ამის შესახებ თურქეთის საგანგებო და

დღე იყო და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს შეხვდით. ესენი არიან ღვაწლმოსილი გმირები, რომლებმაც საკუთარი სიცოცხლე არ დაიშურეს ჩვენი, თავიანთი ქვეყნის გადასარჩენად. ისინი იმსახურებენ განსაკუთრებულ პატივისცემას და არიან განსაკუთრებული ადამიანები, უკვე ძალიან ხანდაზმულები, მაგრამ ძალიან მეომრული პერსონაჟები. მთელი დღე გუშინ პრაქტიკულად მათთან ვაგაფტარე. ახლა მთავრობის სხდომაზე მქონდა თათბირი მთავრობის რამდენიმე წევრთან. მინდა, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს გაუორმაგოთ პენსია და ამით გამოვხატოთ მათადმი მადლიერება. სამწუხაროდ, ისინი ძალიან ცოტანი დარჩნენ და ჩვენ ნამდვილად გვმართებს, რომ თითოეულ მათგანს განსაკუთრებული ყურადღება ვაჩვენოთ“, - განაცხადა პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა.

## „ქალთა ოთახი - ახალი მუნიციპალური სერვისი“



10 მაისს მუნიციპალიტეტის ვიცე - მერთან, ალექსანდრე სურგულაძესთან, ასევე განათლებისა და გენდერული განყოფილების უფროსთან, მარინა ჯაფარიძესთან, მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის თემატური ჯგუფის წარმომადგენლებმა მერი შვაძემ და გურანდა გოგიტიძემ შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში „ქალთა ოთახის“ სერვისის შექმნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით ისაუბრეს.

ახალი მუნიციპალური სერვისი „ქალთა ოთახი“ - ეს არის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ღია სივრცე, საინფორმაციო-საკონსულტაციო რესურსცენტრი, რომლის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი სოფლად მცხოვრებ ქალებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში, გაზარდოს და წაახალისოს ქალთა თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## 6 მუნიციპალიტეტში სტიქიის უმდებარე დაზიანებულ ინფრასტრუქტურას რეაბილიტაცია ჩაუტარდება



ამის შესახებ მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ნათქვამი. გურიის რეგიონიდან ჩამონათვალში ოზურგეთი და ლანჩხუთია. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მოხდება ასევე ქუთაისში, საჩხერეში, ტყვიულსა და წალენჯიხაში. განხორციელდება საცხოვრებელი სახლების, მრავალბინიანი კორპუსე-

ბისა და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების სახურავების, საავტომობილო და საფეხმავლო ბოგირების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. რეაბილიტაციისთვის გამოიყოფა 5 მლნ ლარი.

სრულყოფილია ელჩმა, ფატმა სერენ იაზგანმა Allnews.ge-ის თურქეთში საქართველოს მოქალაქეების სეზონურ სამუშაოზე წასვლასთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე განუცხადა. მისი შეფასებით, საჭიროება რომ არ იყოს, ქართველები თურქეთში სეზონურად სამუშაოდ არ წავლენ. ფატმა სერენ იაზგანმა ასევე აღნიშნა, რომ თურქეთში სეზონურ სამუშაოზე წასვლა, როგორც წესი, ნებადართული არ არის, თუმცა საქართველოსთვის გამონაკლისს უშვებენ. „თუ ამის საჭიროება არ არის, თუ არ არის ბაზარი, მოთხოვნა და მიწოდება, ასეთი რამ არ მოხდება. რაც მინდა ამასთან დაკავშირებით

თურქეთში გაკეთდეს, არის ის, რომ ეს სამუშაო დავარგისტრიროთ და ადამიანები, ვინც თურქეთში სამუშაოდ სეზონურად მიდიან, კანონითა და საზოგადოებრივი უსაფრთხოებით უზრუნველყოფილები იქნებან, მათი უფლებები დაცული იქნება. ჩვენი ემიგრაციის სამსახურის გენერალურმა დირექტორმა გამოაქვეყნა საინფორმაციო ბროშურები, რომლებიც ყველგან გამოაკრეს, ეს არის საინფორმაციო ფურცლები იმ ადამიანებისთვის, ვინც სეზონურ სამუშაოზე თურქეთში მიდიან. როგორც წესი, სეზონურ სამუშაოზე წასვლა ნებადართული არ არის, მაგრამ საქართველოსთვის გამონაკლისს ვუშვებთ.

თურქეთში მხოლოდ აჭარიდან არ მიდიან და რასაც ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ, არის ის, რომ ეს გახდეს ოფიციალური, რეგისტრირებული და კომფორტული“, - განმარტა თურქეთის საგანგებო და სრულყოფილია ელჩმა საქართველოში. თურქეთში სეზონურ სამუშაოზე ჩაის და თხილის საკრეფად საქართველოდან ყოველწლიურად ასობით ადამიანი გადადის. მათი დროებითი საქმიანობის დარეგისტრირების მიზნით, თურქეთის მთავრობამ გასულ წელს მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება თურქეთში სეზონურად ლეგალურად იმუშაოს.

# „ჩვენ არჩევანი დემოკრატიის სასარგებლოდ გავაკეთეთ“



**ალიონი.** 11 მაისს, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარედ ბიძინა ივანიშვილი აირჩიეს და პოლიტიკური საბჭოს განახლებული შემადგენლობა დაამტკიცეს. პოლიტიკური საბჭოს განახლებულ შემადგენლობაში იზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუ-

ტატი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე. ცრილობაზე სიტყვით ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა. გთავაზობთ ამონარიდს მისი სიტყვიდან: „დღეს საქართველოს მოქალაქეები რეალურად თავისუფლები და სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი თვითნებობისაგან... ისინი დემოკრატიული გზით ირჩევენ ხელისუფლებას და თავადვე ანიჭებენ მას სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას. დღეს ჩვენ გვყავს არა არჩევნების გაყალბებით, დამინებითა და ძალადობით მოსული, არამედ ხალხის ნდობის საფუძველზე შერჩეული, ცხადია, არაუნაკლო, მაგრამ რაც მოვარია, ადამიანურ, როგორც მოავარ ღირებულებაზე ორიენტირებული ხელისუფლება. ამის თვალსაზრისით მაგალითი, სხვას ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, საყოველთაო ვადდაცვის ხელმძღვანელობაში სუბორდინაციული წარმადეგნს... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, საქართველოს ისტორიაში, თავისუფალი და დაცულია ბიზნესი - ქვეყანაში დოლარის შექმნისა და აკეთილდობის მთავარი საფუძველი, რაც ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა... ხელშეშახები პროგრესი გვაქვს სასამართლოს დამოუკიდებლობისა და სამართალდამცავი ორგანოების დეპოლიტიზირების კუთხით, რადიკალურ გარდატეხას

მივღწვიეთ პენიტენციურ სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით... თვალმისაცემია წინსვლა საგარეო მიმართულებით. არასოდეს საქართველო ისე დახლოებული არ ყოფილა ევროპასთან და ნატოსთან, როგორც მამად. ჩვენ ერთიანი ევროპული ოჯახის ასოცირებული წევრები ვართ და ეს ფაქტი თურმე დიდხანს დამსტურებელია. საგარეო დიპლომატიის განმტკიცება და გაღრმავება ურთიერთობა ჩვენს სტრატეგიულ მოკავშირესთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ჩვენ ნაწილობრივ უკვე მოვახერხეთ რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაცია და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო პარტნიორობის დახმარებით, შესაძლებელი გახდება ურთიერთობის და დალოების რეჟიმზე გადასვლა, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანების ნაბიჯ-ნაბიჯ მიღწევის პერსპექტივებს შექმნის... რატომ ვბრუნდები პოლიტიკაში? ვინც ახლოს მცნობს, კარგად იცის, რომ ეს ჩემთვის საკმაოდ რთული გადაწყვეტილება არც დღევანდელი ხელისუფლების, არც „ქართული ოცნების“ და, მითუმეტეს არც ჩემი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არ მიმიღია. ისევე, როგორც 2011 წლის ოქტომბერში, მიზანი ამჟამად უცვლელია: საქართველოს, ხალხის და თითოეული ოჯახის კეთილდობა და ღირსეული მომავალი! ამიტომ ახლა სწორედ ჩემს ხალხს მინდა მეგობარი!

ჩვენ ვდგავართ ძალზე მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე, რასაც პირობითად სამი მიზეზი განსაზღვრავს და უქმნის ნოყიერ ნიადაგს. პირველი მიზეზია - ობიექტურად არსებული არასასარგებლო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ, ისედაც რთული ვითარების კიდევ უფრო მძაფრ, ხელისუფლებად დამხმარებელ ფერებში წარმოჩენის განუწყვეტელი მცდელობები; მეორე - ოპონენტების უმრავლესობისგან მომდინარე უკიდურესად დესტრუქციული მუხტი და ბოლოს, მესამე - ხელისუფლების შიშით არსებული, მართალია სუსტი, მაგრამ მანც სრულად არასაჭირო, უსაფუძვლო და ქვეყნის ინტერესების დამზიანებელი გაუგებრობები... ის, რომ ერთის მხრივ გვაქვს თითქმის ევროპული ხარისხის დემოკრატია, რასაც მეორეს მხრივ ბევრად ჩამორჩება ეკონომიკური განვითარების ღირსეული დემოკრატიისა და ეკონომიკის დონეებს შორის ასეთი დისპროპორცია იმდენად უნიკალური მოვლენაა, რომ ძნელად თუ მოიხსენიება რომელიმე სხვა ქვეყანა, სადაც ანალოგიური მდგომარეობაა. ტრადიციულ დემოკრატიებში ეკონომიკა და თავისუფლებები, როგორც წესი, ერთმანეთს ზრდიდნენ და აყვებდნენ. ამ დისპროპორციის აღმოფხვრა თანამედროვე საქართველოს უმთავრესი გამოწვევაა - განაცხადა ცრილობაზე ბიძინა ივანიშვილმა.

# „ასკანგელ ალიანსის“ დღევანდელი დღე და პერსპექტივები

მდაროლები აშენებდნენ მრავალსართულიან საცხოვრებელ ბინებს, სკოლებს, სპორტულ მოედნებს და ა.შ. შენების პერიოდს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ნგრევის პროცესი მოჰყვა.

ნახევრსაუკუნეანი ისტორიის შემდეგ, 1997 წელს შპს „ასკანა“ აუქციონზე ბერძნულმა კომპანიამ „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანი“ შეიძინა.

სამწესობრივად, ბერძნულმა კომპანიამ არ შეასრულა ყოველგვარადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები: 20 წლის მანძილზე დაინერგა ან ვერც დაინერგა 2 ქარხანა, სიძველისა და უმოქმედობის გამო მწყობრივად გამოვიდა, განადგურდა საკარბოო ტექნიკა. 2017 წლის დეკემბერში მათ ლიცენზიას მოქმედების ვადა ამოეწურა...

ამჟამად კი ბენტიონიტური თიხების წარმოების დამუშავების ბატონი დავით შარაშიძისა და ქალბატონი ლეონა ნაჭვებისა შვილი და შვილიშვილი თენგიზ და დავით შარაშიძეები არიან, რომლებმაც ბიზნესს გოჩა ჩხაიძეს და აწ გარდაცვლილ ალექსანდრე ჩხაიძესთან ერთად საწარმოო ციკლის სრულად ამოქმედება შეძლეს.

**პასხა სიორიძე**, შპს „ასკანგელ ალიანსის“ დირექტორი: ჩვენი საწარმო ახდენს ბენტიონიტური თიხების მოპოვებას და გადამამუშავებს, რომელიც გვაქვს როგორც ევროპაში, ისე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში.

ქარხნისთვის მანქანა-დანადგარები შევიძინეთ გერმანიაში. ძირითადი მოწოდებელი კომპანიები არიან „NEUMAN AND FSEER GMBH MAHL UND“; „ALL-GAIER PROCESS TECHNOLOGY GMBH“; „BOHE COMPRESSED AIR SUSTEMS GMBH“; „STEITS MASCHINENBAU GMBH“; ეს დანადგარები უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ბენტიონიტური თიხების წარმოებას. ჩვენ გვაქვს რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო ლაბორატორია, რომელიც ასევე გერმანული დანადგარებითაა აღჭურვილი. ეს ლაბორატორია უზრუნველყოფს პროდუქციის ექსპორტარებად ხარისხის კონტროლს. ლაბორატორია უზრუნველყოფს კარიერიდან ჩამოტანილი თიხის პირველადი ანალიზის ჩატარებას, რაც საშუალებას გვაძლევს ამ თიხებს სწორი მიმართულება მივცეთ შემდგომი გადამამუშავებისთვის.

**რამდენი ადამიანი ამჟამად დასაქმებული წარმოებაში?**

ამჟამად ჩვენთან 110 ადამიანი მუშაობს, ძირითადად სოფელ ასკანის და მთისპირის მოსახლეობა. ასევე მუშაობენ სოფელ დეპაზუსა და ოზურგეთის მიმდებარე რამდენიმე სოფლის მცხოვრებლები. დაცულია უსაფრთხოების წესები და მუშა-მოსამსახურეების საშუალო ანაზღაურება 700 ლარს შეადგენს.

**ვის მიეწოდება თქვენი პროდუქცია და რა პერსპექტივებია ამ კუთხით...**

რაოდენ გასაკვირვებელი არ უნდა იყოს, ამჟამად ძირითადი დამკვეთი არა რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყანა, არამედ ევროპის უდიდესი ქვეყანა გერმანიაა. მათ ყოველთვის მანქანათმშენებლობისთვის 1200 ტონა საყალიბი თიხას ვაწვდი. სულ კი თვეში 2000 ტონა გადამამუშავებულ თიხას ვაგზავნი ექსპორტზე. ამჟამად მოლაპარაკებებს ვახდენთ უკრაინისა და ბელორუსის მანქანათმშენებლებთან, რომელთაც ასეთი



სახის თიხა სჭირდება მეტალურგიას და საყალიბი წარმოებაში. ჩვენ ცნობილი მიზეზით დეკარგეთ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზარი, ამით ისარგებლეს ჩვენმა კონკურენტებმა, დაიჭირეს ბაზარი და მაღალხარისხიანი ჩვენებური თიხა უკრაინული, აზერბაიჯანული და სომხური თიხებით ჩანაცვლეს.

**თქვენ ახლანა სახელმწიფომ ბენტიონიტური თიხების ციხისუბნის სახელი გადმოცა...**

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს დადგინების შესაბამისად, 2018 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ შპს „ასკანგელ ჯგუფს“ გადასცა ასკანის ბენტიონიტური თიხების ჯგუფში შემავალი ციხისუბნის სახელი, შემდეგი სალიცენზიო პირობებით, რომ „ასკანგელ ჯგუფს“ 3 წლის განმავლობაში განახორციელოს უნდა 500 ათასი ლარის ინვესტიცია, რომელიც უნდა დაინარჯოს შემდეგნაირად:

- ა) სოფელ მთისპირში უნდა ამუშავდეს თიხის პირველადი გადამამუშავების ქარხანა, რომელიც უნდა აღიჭურვოს შესაბამისი მანქანა-დანადგარებით;
- ბ) უნდა მოხდეს 4 სოფლის წყალსადენის (მთისპირი, ასკანა, მზიანი, ბასილეთი) სათავე და საფლტრე ნაგებობის რეაბილიტაცია, რომელიც მდებარეობს სოფელ მთისპირში;
- გ) უნდა მოხდეს სოფელ მთისპირში მდებარე კულ-



ტურის უნიკალური ძეგლის-ასკანის ციხის რეაბილიტაცია, რაც რეგიონში ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს;

დ) 2 წლის განმავლობაში დამატებით უნდა დასაქმდეს 150 ადამიანი.

**პასხა ანდრეულაძე**, ქიმიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი: - 38 წელია სამთოელი ვარ, აქედან 33 წელი ოზურგეთის მდაროთა სამმართველოში ვიმუშავე.

არ შემიძლია ჩემი გულისტკივილი არ გამოთქვა იმ ის შესახებ, რაც ოზურგეთში ბერძნული კომპანიის შემოსვლის შემდეგ მოხდა. მათ ვერ მინიმუმადე დაიყვანეს შპს „ასკანას“ 800-კაციანი კოლექტივი, ხოლო შემდეგ მილიანად გააჩერეს წარმოება.

სამწესობრივად, წინა ხელისუფლებამ მათ საშუალებას მისცა საწარმოს უმოქმედოდ გაჩერების, ნგრევის და განადგურების. 2003-2004 წლებში მუშა-მოსამსახურეთა ძელგარებას, საპროტესტო აქციებს, გაფიცვებს, შიმშილობას შედეგი არ მოჰყოლია.

ბერძნული კომპანიის თავდაპირველი მიზანი იყო წალისხეულის მოპოვება ყოველგვარი დანახარჯების გარეშე. იგნორირებული იყო პროექტით გათვალისწინებული აუცილებელი სამთო სამუშაოების ჩატარება, რამაც საბოლოო მდგომარეობაზე მიიყვანა. 20 წლის განმავლობაში, ბერძნულ კომპანიას მოჰყავდა არგუმენტი, რომ არ მოიძებნა სტაბილური მომხმარებელი, მაშინ როცა მსოფლიო ბაზარზე ჩვენი სახით ძლიერი კონკურენტის ჩამომორების შემდეგ საბრძოლო ვაკუუმი მოიხსნა არსებული მათი კუთვნილი ანალოგიური საწარმოს გაფიცვები 600 ათასი ტონა პროდუქციიდან მილიონ 200 ათას ტონამდე გაიზარდა.

უცხოურმა კომპანიამ სამსახურიდან დაითხოვა ოზურგეთის მდაროთა სამმართველოს კვალიფიციური კადრები. „ასკანგელ ალიანსი“ ისინი მათთან მოიწვია და მათი კვალიფიკაციის მიხედვით დაასაქმა: ზურაბ ღონდლაძე - სამთო სამსახურის უფროსად; ვახტანგ თითქე - კარიერის უფროსად; თამარ მურვანიძე - ლაბორატორიაში; დღეს ჩვენს ლაბორატორიაში მომუშავე მზია ხომერიკი, ირმა ლომიძე, მელა ქინქლაძე - ყველა პროფესიით ქიმიკოსია.



ლაბორატორიაში გერმანული დანადგარებით ხდება სტანდარტით გათვალისწინებული ყველა ანალიზის ჩატარება, რაც უზრუნველყოფს ბენტიონიტური თიხის ხარისხის მუდმივ შემოწმებას.

ჩვენს კოხხეზურს ადღეგნას ისურვებდა თემურაზ ქალიფთარის დროინდელი წარმოებიდან, ქალბატონმა მანანამ გვიპასუხა:

— გასული საუკუნის 80-იან წლებში მდაროთა სამმართველომ დაიწყო ბუნებრივი სახის წარმოება, რომელიც ტუბებში იყო და მაღალი მოთხოვნილება ჰქონდა უკრაინასა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბაზარზე. დღეს მსოფლიოში ასეთ პროდუქციას მოთხოვნა და შესაძლებელია „ასკანგელ ალიანსი“ თანამედროვე ტექნოლოგიით და შეუფუთი თხევადი საპირი და შამუნი გამოუშვას.

„ასკანგელ ალიანსის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **თენგიზ შარაშიძე** თვლის, რომ მთავრობის მხარდაჭერა, სალიცენზიო პირობები დიდი პასუხისმგებლობაა მათთვის.

— 150 ახალი სამუშაო ადგილის შექმნა, კიდევ ამდენივე ოჯახების გაძლიერება, მუნიციპალიტეტის მთიანი რეგიონის სოფლებში ახალგაზრდების მთავარი პრობლემის შეჭერას შეუწყობს ხელს.

ასკანის ბენტიონიტური თიხების ჯგუფის ციხისუბნის სახლის ტექნიკური მდგომარეობა ამჟამად საგალალოა. ჩასატარებელია მნიშვნელოვანი სამუშაოები. მნიშვნელოვანი გამარბებითი სამუშაოები აქვს ჩასატარებელი კარიერთან მისასვლელ გზაზე მდინარე ბახვისწყალზე არსებულ რკინაბეტონის ხიდს, რომელიც არა სახელმწიფოს, არამედ ბერძნული კომპანიის კუთვნილებაა. მომავალში ალბათ ოზურგეთთან დამაკავშირებელ ახალი გზის პროექტზე ვიფიქრებთ, რომლის მშენებლობაც დაწყებული იყო გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და სოფელ ბახვის ტერიტორიაზე მდინარე ბახვისწყალზე ხიდის კი ავეს. ჩვენ ვეუშაობთ ერთობლივად. ამ საქმიანობაში ლომის წვლილი მიუძღვის ბიზნესს გოჩა ჩხაიძეს, რომელთანაც ერთად ვფიქრობთ ასკანა-მთისპირის რეგიონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო და ტურისტული ზონა გახდეს უკრაინაში.

სალიცენზიო პირობების შესასრულებლად სოფელ დეპაზუსა და მთისპირში აიგება ახალი სააქროები. ყოველივე კი საერთო ჯამში რეგიონის ეკონომიკის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. — გვითხრა თენგიზ შარაშიძემ.

# წყალსებატანებზე თუ წყალს აღლებილი მილიონები?

**რომ არა „ორიონი“, იმ თანხით, რაც შემოქმედის წყალსადენის მშენებლობაზე დაიხარჯა, ორი ონი აშენდებოდა**

## თემატურ მარჯანიშვილი

ასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართეს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს. წყალმომარაგების კომპანიის ობიექტის სერვისცენტრმა ოპოზიციურ პარტიას აცნობა, რომ სათავე ნაგებობის მუშაობა არის სეზონური და დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, მოსახლეობას წყალი მიეწოდება 8-საათიანი გრაფიკით, სასმელი წყლის ვარგისიანობის ყოველდღიური კონტროლი ხდება სერვისცენტრის ლაბორატორიაში.“

მამინ ობიექტებმა ახალგაზრდა „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ოპერატიულად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ყურადღის გაქცევა მოახერხა, რომ პროექტმა რამდენიმე განიცადა ცვლილება, რაც აისახა ხარვეზდრიცხვებში და საინვესტიციო პროექტის ღირებულება გაიზარდა. მხოლოდ პროექტირებაში გადახდილია 113 400 ლარი. ამ პროექტის მიხედვით, ქალაქ ობიექტის მოსახლეობა უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო 24-საათიანი წყალმომარაგებით. მიწოდება უნდა მომხდარიყო ანასულის მდებარე რეზერვუარებში. წყალი უნდა ყოფილიყო ხარისხიანი, თვითღირებულებით და არა დამოკიდებული სეზონურობაზე. დახარჯულია სოლიდური თანხა, რეალობა კი კატასტროფულია. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ პროექტი ჩაყარდა. ობიექტის მოსახლეობას არც 8-საათიანი გრაფიკით მიეწოდება წყალი და არც მიწოდება იხილავს სასმელად უვარგისია.

სხვათა შორის, პროექტის მიხედვით, შემოქმედის წყალსადენის თვითღირებულების გაუსვა ხაზი ობიექტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატმა შოთა გოგიბერიძემ, რომელიც იმ წლებში სამხარეო ადმინისტრაციამ მუშაობა და მნიშვნელოვანი ინფორმაციების ფლობის როგორც თვით პროექტზე ისე მისი ექსპერტიზის განხორციელების პროცესებზე.

**შოთა გოგიბერიძის** თქმით, ზედმეტი ხარჯები განპირობებულია იმით, რომ არ გამართა პირველადი, არე შემოქმედის წყალსადენის პროექტმა. დამატებითი თანხებით კი მოხერხდა მეორადი პროექტის, უფრო სწორად, ძველი, მაკანთისა და ლაშქის წყალსადენების რეაბილიტაცია და ქალაქის ქსელის განახლება. ქალაქი უწყველად არ დარჩენილა, მაგრამ დაიკარგა პირველადი პროექტის იდეა, რომ წყალსადენი თვითღირებულ იქნებოდა.

„მხარის გუბერნატორად ყანი კალანდის დანიშვნის შემდეგ, გურამი რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი დაიკვამ. სწორედ მისი გუბერნატორობის პერიოდში დაიწყო ფიქრი, მომხდარიყო თვითღირებულ წყალსადენის პროექტის განხორციელება ობიექტში. მას სოფს იყო საუბარი კალაქს ტბიდან წყლის მიწოდებაზე, კვლევითი სამუშაოებიც მიმდინარეობდა. შემდეგ, სამწუხაროდ, ეს ახალგაზრდა კაცი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და სხვა გუბერნატორები მოვიდნენ. გაგრძელდა ამ პროექტზე მუშაობა, ოღონდ წყალი უნდა მიეღობოთ არა კალუდან, არამედ გადაწყვიტეს გომში, მდინარე ბუჯის ნაპირზე მოეწყობოთ სათავე ნაგებობა, რომელიც არტეზიული წყალს მიიღებდა. არტეზიული წყლის დებუტი უნდა ყოფილიყო იმხელა, რომ ქალაქის მიმართულებით წამოსულიყო თვითინებით, დაგროვებულიყო ანასულის გადაშენებულ სადგურზე, საიდანაც უწყვეტად მიწოდებოდა ქალაქს, მათ შორის თორმეტსართულიან საცხოვრებელ სახლებსაც. ეს იქნებოდა ელექტროენერჯის ძალიან დიდი კონომია და, რა თქმა უნდა, მოსახლეობის მინიმალური ხარჯები. ამ წყალსადენის მთავარი არის სწორედ ეს იყო.“

პროექტში გარკვეულიწოდ ჩადებული იყო ქსელის რეაბილიტაცია, რადგან ასეთ წნევას ძალიან სერიოზული მიღები სჭირდებოდა. ამ მხრივ პროექტი ნორმალურად იყო გაკეთებული.

მამინ პრეზიდენტი გახლდათ მიხელო საკაშვილი, პრემიერი – ზურაბ ნოღაიძე, მუნიციპალური განვითარების ფონდის ხელმძღვანელი კი ვინმე მურმან გადაყვი, თუ სწორად მას სოფს. ეს უკანასკნელი რამდენჯერმე იყო ჩამოსული ობიექტში. წყალსადენის ძირითადი დამფინანსებელი სწორედ მუნიციპალური განვითარების ფონდი გახლდათ, წილობრივად ადგილობრივი ბუჯებიდანაც ფინანსდებოდა, ასე მას სოფს. პირველი ტრანში, მგონი 4,5 მილიონი იყო. ყველა ადგილობრივი ვიყავით, რომ ელირსებოდა ობიექტის სტაბილური წყალმომარაგება. ეს იყო საშვილიშვილი პროექტი“.

როგორც გოგიბერიძე ამბობს, სამხარეო ადმინისტრაციას ძალიან მაღალზე ჰყავდა ადგილი ეს მშენებლობა, ბევრი შენიშვნებიც ჰქონდა. პირადად მას ვერ აჩვენეს გეოლოგიური დასკვნაც:

„რადაც დარღვევები რომ დავგროვდა, სამხარეო ადმინისტრაციამ არასამთავრობო სექტორის მიერ მომზადებულ დასკვნებს დაამატა ადგილობრივი სპეციალისტების მიერ შესწავლილი საკითხების მოსხივებითი ბარათები და პროკურატურამაც გადააგზავნა. ფაქტობრივად აპარატის საქმიანობას მე ვხელმძღვანელობდი და ვეცნობოდი, რა წერილები მიდიოდა. გარდა ამისა, ხშირად მოდიოდნენ ამ პროექტში მონაწილე მუშები, ხან ხელფასი უგვიანდებოდათ, ხან კიდევ რა.“

მას სოფს, გუბერნატორმა მოითხოვა სამხარეო ადმინისტრაციის გამსვლელი სხდომის ჩატარება სათავე ნაგებობაზე. მთავრდებოდა უკვე პროექტი. ავდიოთ, ჩამოსული იყო მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლობა, მთავრობის წარმომადგენლები ძალიან დიდი შემდგენლობით. გამსვლელი სხდომის ოქმს აგრძობდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და მეც, რა თქმა უნდა. ვინიშნავდი, ვინ რა მოსაზრებას გამოთქვამდა, რა ნაკლოვანებები დაფიქსირდებოდა ვიზუალური დათვალიერებით და ძალიან დიდი ჩამონათვალი გამოვივიდა.

**რაც ყველაზე ცუდი იყო, ჩვენ ვერ ვნახეთ არტეზიულ რეზერვუარებში შემომავალი წყარი. ვნახეთ დამფარვი, ლაყე წყალი. პირადად მივეყვი დარს და ამოვანჩე, რომ ბუჯის წყალი იყო შემოშვებული რეზერვუარებში, რომელიც შემდეგ იფიქრებოდა, არც თუ ისე მაღალხარისხიანი გავფიქვრით, მიდიოდა მიღში პირდაპირ. სათავე ნაგებობა იყო ძალიან დიდი დარღვევით გაკეთებული. მამინვე შევადგინე ოქმი, თუცა, თათბარის მონაწილეებმა უარი თქვეს ხელმოწერაზე. ვეცდებით, გამოვასწოროთო, მოკვლევ, ათასი რამ მიიმიხუნეს. მივხვდი, რომ ამ პროექტის ბედი ფაქტობრივად ცუდად იყო გადაწყვეტილი. შემდეგ სპეციალისტებთან პირადად საუბრებით გავიფიქრე, რომ არ იყო დებუტი არტეზიული, მოვითხოვე გეოლოგიური დასკვნა, ეს აღნიშნულია იმ ოქმში გეოლოგიური დასკვნა ვერ წარმომადგინეს. არასამთავრობო სექტორის დასკვნაში რატომღაც აღნიშნული იყო, რომ გეოლოგიური დასკვნა არსებობდა, მაგრამ, როცა სპეციალურად მივედი, ვერ მაჩვენეს.**

მოკვლევ, ოთხმოლიონნახევრანი პროექტი თითქმის ბოლომდე განხორციელდა ისე, რომ გეოლოგიური დასკვნა არ იყო. რა თქმა უნდა, ოქმს დავარტყე გუბერნატორის ბუჯები, ხელიც მოვაწერე უფლებამოსილი პირი ვიყავი, რომ ეს გამეკეთებინა. იმდენად აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ხსენებული ოქმი პრესას მივეცი, სამეკრდიანი იყო, მას სოფს.

მამინაც მივიჩნევი, რომ ეს იყო დიდი დანაშაული, კიდევ ერთხელ გუნუნებით, რომ ჩვენ პროკურატურაც კი ჩავრთეთ საქმეში ამ დარღვევების გამო. დიან, დიდი დანაშაული იყო ის, რომ თვითინებუდი წყალსადენის იდეა დასამარდა. მიუხედავად ამისა, მაინც განხორციელდა ეს პროექტი, დაიხარჯა ძალიან დიდი ფული, რომელიც

ქსელის რეაბილიტაციას და მაკანთისა და ლაშქის სათავე ნაგებობების აღდგენას რომ მოხმარებოდა, გაცილებით უფრო ეფექტური იქნებოდა. რა თქმა უნდა, სამხარეო ადმინისტრაციამ არ მოიწონა, რომ საკუთარი ინიციატივით ჩაეყენე მედია საქმის ყურში და ესეც იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩემი სამსახურიდან წამოსვლისა. გახსოვთ, ალბათ, მამინდელი სტრუქტურების მუშაობის სპეციფიკა. ეს იყო ჩაკეტილი, სოფისა და კულის კონტროლზე აყვანილი სტრუქტურები, დამლაგებელი ვერ შეყოფდა ცხვირს შიგნით ნებართვის გარეშე და ამ დროს ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაწოდა მედიას. ღიად არ დამპირისპირებან, მაგრამ ეს იყო ჩემსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას შორის კონფლიქტის ძირითადი, რეალური წყარო.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი, მთავარი იყო ის, რომ ჩემი სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ, სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მივიყენე ამ პროექტის ავტორები, შემსრულებელი და მონაწილე მხარეები. გამართა სასამართლო პროცესები, დაუსტურდათ დანაშაული, საპროცესო გარიგებებიც შედგა, ეს უკვე პრესიდან ვიცი. სამწუხაროდ, დახარალებული დარჩნენ ობიექტი და ობიექტი მონაწილეობა, თვითინებუდი, ეფექტური წყალსადენი და 24-საათიანი წყალ ნაწვევარს შემდეგ კიდევ არაერთი ტრანში დაემატა, რადგანაც შეიცვალა პროექტის მიმართულება, არის და საჭირო გახდა დამატებითი თანხები უკვე არსებული, ძველი წყალმომარაგების სათავე ნაგებობისა და ქსელის რეაბილიტაციისთვის.

ერთიც, იმ პერიოდში ერთ-ერთი მინისტრი, თუ არ კვლავი, მერაბ ანათე ჩაიდა ჯავახში, იქ მიმდებარე სოფლებს წყლის პრობლემა ჰქონდა. ტელევიზია იღებდა ლიანვის ერთ-ერთ სათავე ნაგებობაზე მინისტრის მისვლას. იმდენად დაინტერესდი, მივიყენე ეს კადრები და ვაჩვენე ხელმძღვანელობას. იყო რამდენიმე იარუსიანი სათავე ნაგებობა, სადაც საფეხურებრივად იფიქრებოდა წყალი. ახალგაყენილი ვარ ამ კადრებს, სათავე ნაგებობაზე რომ ავიდიო, ამათ ვუყენებოთ თუ არტეზიული წყალი არ ვაქვთ, თუ გეოლოგიური დასკვნა არ ვაქვს და საერთოდ პერპეტუა არ არის, თუ მდინარის წყალს ვუშვებთ ამ რეზერვუარებში, მამინ შეცვალეთ პროექტი, სამ-ოთხნარუსიანი გააკეთეთ-მეთქი. პირველში ჰყრიან, ვიყავთ, ქვიმას, მთორმე – დიდი ფრაქციის ქვიმას, მესამეში უფრო ვიწრო ფრაქციისა და წყალი ეტაპობრივად იშინდება, მერე მდინის ფილტრისა და ქლორინის გავლით მიღდება. ის ელდაც განხილვებოდა, მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ იდეის დონეზე დარჩა.

იცით კიდევ მამინ რამ გამოიწვია ჩვენი აღმოთება? რაკი სათავე ნაგებობაზე მდინარის წყლის შემოდება გადაწყვიტეს, ვიცოდით, რომ 12-14 ფერმა იყო გადაშომდგარი ბუჯის წყალზე“.

ახლა გადავხედოთ საქართველოს წყალმომარაგების კომპანიის ვებ გვერდს, სადაც დღესაც უკვლავად დევს ითიქმის ოთხი წლის წინანდელი (29.06.2014) მასალა, რომელიც გვამცნობს, რომ ობიექტში 30 ათას მოქალაქეს წყალმომარაგების მიწოდების პრობლემა მოუგვარდა:

„სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის რეგიონში – გიორგი ჩხაიძემ, მუნიციპალური განვითარების ფონდის ადმსრულებელი დირექტორის მოადგილე თორნიკე თორაძემ, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა არჩილ ცაბუტაშვილმა და მისმა მოადგილე გიორგი კობერიძემ ობიექტის მუნიციპალიტეტში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების



ფონდმა ობიექტის მუნიციპალიტეტის 30 ათას მოქალაქეს წყალმომარაგების პრობლემა მოუგვარა. წყლის სისტემის რეაბილიტაცია, რომელიც ობიექტში წლებია არ განხორციელებულა, ფონდმა ვეროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით განახორციელა. პროექტის ღირებულება 2,653,428.70 ლარია. რეაბილიტაციის შედეგად ნაცვლად 8 საათიანი გრაფიკისა, მოსახლეობას წყალი 14 საათიან რეჟიმში მიეწოდება. ამასთან გარანტირებული იქნება წყლის ხარისხი.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ობიექტი ექსპლუატაციაში საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის გადაეცემა. ობიექტის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის დასრულების შედეგად მილიანად ქალაქ ობიექტის მოსახლეობას გაუმჯობესდა წყლის მიწოდების ხარისხი. აქამდე მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდებოდა. რეაბილიტაციის დასრულების შედეგად კი გრაფიკის დრო მინიმუმადე შემცირდება. მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა წყლის ხარისხი. ასევე მოხდება წყლის დაქლორვა და „სკადას“ სისტემის მუშაობით წყლის ხარისხის კონტროლი მუდმივ რეჟიმში. აქამდე ობიექტის მოსახლეობა დაბალი ხარისხის გაუფიქტრავ სასმელ წყალს იღებდა და იმასაც შეზღუდული გრაფიკით.

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან ერთად წლის ბოლოს ობიექტის წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციის მერე ეტაპის განხორციელებას დაიწყებს. ამის შედეგად კი მოსახლეობისთვის გრაფიკის სრულად მოხსნა მოხდება. ასევე დაიზოგება ელექტროენერჯა, ვინაიდან ტუმბოების 24-საათიან რეჟიმში მუშაობა აღარ იქნება საჭირო. ობიექტის გარდა, წყლის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს 28 ქალაქში მოხდება.

პროექტის განხორციელების განმავლობაში ობიექტზე 60 ადამიანი იყო დასაქმებული.

წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციის ფარგლებში აშენდა თანამედროვე საქლორატორის შენობები, მილიანად გამოიკვალა სატუმბო სადგურის ტერიტორიაზე გარე და შიდა კომუნიკაციები. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ელექტრომომარაგების სისტემას, დამონტაჟდა ახალი ტრანსფორმატორი, მოხდა სამივე სათავე ნაგებობის შემოღობვა. დამონტაჟდა „სკადას“ სისტემა, რაც საერთაშორისო ადვილებს წყალსადენის ქსელის კონტროლს და ოპერირებას

ამასთან, სამუშაოების პირველი ეტაპის განხორციელების დროს წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით ქალაქი დაიყო 4 სექტორად, რისთვისაც დამატებით მიეწყო 36 სარეგულაციო ჭა ურდულებითა და წნევის რეგულატორებით. სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ქალაქის 3 სატუმბო სადგურზე.

№1 სატუმბო სადგურზე დამონტაჟდა 3 ტუმბო-აგრეგატი წარმადობით 365 მ3/სთ. №2 სატუმბო სადგურში 2 ტუმბო-აგრეგატი წარმადობით 160 მ3/სთ და №3 სატუმბო სადგურში 2 ტუმბო-აგრეგატი წარმადობით 120 მ3/სთ.

ობიექტის მუნიციპალიტეტში გარდა წყალსადენი სისტემის რეაბილიტაციისა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დაფინანსებით მდინარე ბუჯის კალაპოტში წყალსადენის დრენაჟზე და მაგისტრალურ წყალსადენზე ნაპირსამაგრი სამუშაოები განხორციელდა. სამუშაოების საერთო ღირებულება 493 000 ლარია. ნაპირდამცავი გაბიონების კვლების მოწყობის და მდინარე ბუჯის ძველ კალაპოტში დაბრუნების შემდეგ დაკული იქნება წყალსადენის დრენაჟები და მაგისტრალური წყალსადენი, რაც წყლის დებუტზე და ხარისხზე აისახება“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის იქნებ გადაეხედა ამ ინფორმაციისათვის და შესაბამისი შესწორებებით მოსახლეობისათვის ეცნობებინა ობიექტის წყალმომარაგების არსებული მდგომარეობა.

მაკანთის მდამი და მდინარე ბუჯის ინტერული მასალის მომწოდებელი კარიერის მენეჯერი ქვების შედეგად წყლის დონე იმდენად დაიწია, რომ ძალიან ტუმბოებით მისი სათავე ნაგებობაში გადმოტუმბავ, რაც არ არის? გარდა უწყობლობისა, ხომ არ იკვებოდა გეოლოგიური კატასტროფის საფრთხე?

კი, ბატონო, როგორც ობიექტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ლავრენტი ბიგვაგი ვითხრა, საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სამსახურები მუშაობენ საკითხზე და პრობლემა აუცილებლად მოგვარდება

უარესი მდგომარეობა ლიხაური - ანასულის წყალსადენზე, რომლის სათავე ნაგებობა ფაქტობრივად ამორტირებულია. ამას ემატება ისიც, რომ სოფელ ლიხაურის მოსახლეობა, მოუხედავად იმისა, რომ ამ წყალსადენზე თავისი მთავარი ძილი გაჩნია, ანასულის მიღზე ზის და ანასულის დასახლება ფაქტობრივად მშრალზე დარჩენილი. ლავრენტი ბიგვაგის თქმით, მიმდინარეობს წინასაბრძოლტო სამუშაოები და სექტემბრისთვის დაიწყება ძირითად პროექტზე მუშაობა. საქმეში ჩართულია ობიექტის მფლობელი დაპუტატი არჩილ თალაკვაძე.

მოკვლევ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქი ობიექტი უწყველად არ დარჩება და ამ კარიერების გადაქცივარც გეოლოგიური საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ანასულის წყალსადენსაც მიუხედავად, რამეთუ აქაურ მეცნიერებს ჯერჯერობით არ ძალუბთ წყურვილგამძლე ადამიანების გამოყვანა, მათ მხოლოდ ყინვაგამძლე მეცნიერების გამოყვანის გამოცდილება აქვთ.

„ჭადრების ბაღის“ ოჯახის წევრები



ცხოვრებაში არის რაღაც იდეალი, იგიც თავის ჟამს ელის, წლების წინათ, როცა მამინდელი მახარადის „ჭადრების ბაღთან“, სასტუმრო „გურიას“ წინ რომ ჩაუვლიდი, წარმოუდგენელია, იქვე, ძელსკამზე არ შეგენიშნათ არაჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც რატომღაც ჩემი ახლობლები, ან ნათესავები მეგობრენ.

ყველაფერი იწყება მოგონებებით და მოგონებებით მთავრდება, ისინი საუბრობდნენ ქვეყნის საჭიროებოთ საკითხებზე, ხანაც ხმადალა კამათობდნენ, ახალგაზრდებს გვასწავლიდნენ სამშობლოს სიყვარულს, უფლის სიყვარულს, ხალხის სიყვარულს, ილიას, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის სიყვარულს... იქ მათი თავშეყრის ადგილი იყო. მინდა სწორედ იმ ადამიანების გახსენებით დავიწყო, „ჭადრების ბაღის“ ოჯახის წევრები რომ იყვნენ. ისინი მართლაც ამშვენებდნენ ჩვენს ქალაქს. თამაშად ვიტყვი, რომ ჩვენ, უმცროსი თაობა ვბაძავდით მათ. ამ პერსონებთან მიახლოებაც დიდი სიხარული იყო. წავიდნენ... დროს ყველაფერი მიაქვს. ყოველ გასვენებაზე მიუღო მახარაძე... სულ ერთია იცნობდნენ ან რაიმე გავიწყობოდა, ყველა გარდაცვლილის ბედი გულთან მიჰქონდათ. ახლა, როცა დრო აჩქარდა, მინც ვერ აღვიქვამ, როგორ გადის იგი...

აგერ ახლა იყო აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და უცებ მეორე გაზაფხული და აღდგომაც მობრძანდა. აღდგომის მეორე დღე მიცვალებული-სა. იცით, ადამიანები რატომ იხდიან ბოდიშს? - ალბათ იმიტომ, რომ რაღაც შეშალათ, ისე ვერ გააკეთეს, როგორც საჭირო იყო. მინდა წინასწარ ბოდიშ მოვიხადო მათ წინაშე, ვინც უნებლიეთ გამომრჩა, ან ვერ გავიხსენე. გამხსენებული და გახსენებულიც ორივე ზემოდან მოდის. ასე რომ, თუ ამ პერსონების გვერდით ვერ ვიხილოთ ის ადამიანები, რომლებიც სავესებოთ იმსახურებენ ამა, უფალი მაბატობს.

პირველ რიგში, როგორ არ ვახსენოთ დიდებული ჟურნალისტი **მამია კილაძე**, რომელმაც არაჩვეულებრივი წიგნი დაწერა „პაემანი ჭადრების ბაღში“.

მას ასე, ვიწყებ მოგონებას:  
**-რევაზ კეჭავაძე** (ქუჩუნი) - იურისტი, სამართალმცოდნე, ბრწყინვალედ იცოდა ქართული პოეზია; იყო ადამიანებისადმი კეთილგანწყობილი. ჰქონდა მოკრძალებული მანერები. მძა - საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **იოსებ კეჭავაძე**, საქართველოს ჰიმნის მუსიკის შემქმნელი;  
**- მამული გიორგიძე** - საქართველოს დამსახურებული მხატვარი; არაერთი პერსონალური გამოფენის ავტორი როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.  
**- თამაზ სალუქვაძე** - წარმატებული ფეხბურთელი. წლების განმავლობაში იყო მახარადის „კოლმეურნის“ ცენტრ-ფორვარდი, მიწვეული იყო თბილისის „დინამოში“ და რუსეთის არაერთ სა-

ფეხბურთო გუნდში.  
**- თამაზ ჩხარტიშვილი** - ოზურგეთის საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ ცენტრალური მცველი, სულ ახლახან გარდაიცვალა.  
**- ლერი სვანიძე** - ქალაქში მეტსახლად „რაფოს“ ემსახურებ; ჯერ მუშაობდა მღებავად; მიიღო უმაღლესი განათლება და გახდა ინჟინერ-შენებელი.  
**- გაიოზ გაგუა** - განათლების წარჩინებული, ნარუჯის საშუალო სკოლის დირექტორი; რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი.  
**- კლავდიუს ჩიგოგიძე** - მას ყველა „ჭკუკად“ იცნობდა, მუშაობდა ოზურგეთის სანეპიდსადგურში განყოფილების გამგედ; იყო განთქმული მონადირე და მეთევზე, დიდი ოჯახის თავკაცი.  
**- ნუგზარ ჩავლეშვილი** - ინჟინერ-ტექნოლოგი, საკონსერვო ქარხნის ცენტრალური სამჭროს უფროსი.  
**- ხანუტა დღონდი** - ახალგაზრდობაშივე აღიარეს ოზურგეთის კოლორიტად, ჰქონდა საოცარი იუმორი, მისი ბევრი გამონათქვამი დღესაც ცოცხლობს.  
**- რობერტ თხილაიშვილი** - ჩვენი „ტობა“, საოცრად კეთილშობილი პიროვნება;  
**- გენო მესხი** - ოზურგეთის საკონსერვო ქარხნის მთავარი ტექნოლოგი.  
**- რენო ურუშაძე** - ფართო პროფილის ინჟინერი, არაჩვეულებრივი პიროვნება; წარმოსადგვი ვენტლმენი, მეცენატი, ყველას გვერდში მდგომი.  
**- დედე მასხალია** - ინტელიგენტის ოჯახიდან; ახალგაზრდობაში, მძისთან (**ხაზასთან**) ერთად, იცავდა ოზურგეთის საფეხბურთო გუნდის ღირსებას; იყვნენ ქალაქის სასულე ორკესტრის მუსიკოსები; ბატონ დედესთანა დაკავშირებული ოზურგეთში გაზიფიკაციის განვითარება.  
**- კუკური ფლენტი**-რკინიგზების ოჯახიდან. „კურიცას“ ემსახურებ. პროფესიით ეკონომისტი. მუშაობდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში. ჰქონდა ლამაზი იუმორი. ჰყავდა ლამაზი ოჯახი, ყველას გვერდით მდგომი.  
**- მიშა ფირცხელაშვილი** - არაჩვეულებრივად თბილი და კეთილი პიროვნება; მისი ბაბუა გიორგი ოზურგეთის მახრის თავკაცი იყო.  
**- მიშა გორდელაძე** - „მერცხალის“ ყოფილი ფეხბურთელი, შემდგომში მისი მთავარი მწვრთნელი.  
**- შუტუ სალუქვაძე** - წერდა არაჩვეულებრივ ლირიკულ ლექსებს; იყო მხატვარი; იცავდა ოზურგეთის საფეხბურთო გუნდის კარებს.  
**- ანტონ მახარაძე** - ჩვენი „ანტუშა“; ექიმების ოჯახში აღზრდილს, ურჩევდნენ ექიმი გამოსულიყო, მაგრამ ავტოინჟინრობა არჩია; იყო უსახლვროდ განათლებული პიროვნება.  
**- კოტე გოგაბაძე** - მის სახელთანა დაკავშირებული ოზურგეთის საფეხბურთო კლუბის წარმატებები; მის სახ-

ელს ატარებს ოზურგეთის ცენტრალური სტადიონი.  
**- სედრონე ბილიზოძე** - ძირძველი ოზურგეთელი; მუშაობდა ტაქსის მძღოლად.  
**- რეზო მელიქაძე** - ოზურგეთის ლუდის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი.  
**- მურად დარჩია** - №3 სკოლის პედაგოგი, უღამაზესი პიროვნება.  
**- ომარ ზაქარიაძე** - „დოსაფის“ კლუბის დირექტორი, უადრესად განათლებული და კეთილი პიროვნება.  
**- ვახტანგ მეგრელიაძე** - საქართველოს დამსახურებული არტისტი, შესანიშნავი ქორეოგრაფი.  
**- არჩილ კუნჭულია** - დამთავრებული ჰქონდა ორი უმაღლესი სასწავლებელი; იყო ოზურგეთის პურის ქარხნის მთავარი ტექნოლოგი, საოცრად კეთილი პიროვნება.  
**- თეზიკო ქილიფთაძე** - წლების განმავლობაში იყო ვოკალურ ანსამბლ „შვიდაცას“ სოლისტ-მომღერალი; საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.  
**- მიშოკო ანთაძე** - ალბათ, ამ ქვეყნად არ არსებობს მეორე პიროვნება, ვისაც აძენი ახლო მეგობარი ჰყოლოდა, არაჩვეულებრივად თბილი და კეთილი პიროვნება.  
**- ჟორა ხლანუსტოვი-გურული** - ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა, წითელ დიპლომზე - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, იყო უნიჭიერესი ინჟინერი.  
**- ზური ვიჯიეშვილი** - იყო უნიჭიერესი ხელოვანი, ქორეოგრაფი და მომღერალი.  
**- ბადრი თაყაიშვილი** - 50-იანელი ოზურგეთის კოლორიტი, არაჩვეულებრივი მოცეკვავე და საესტრადო მომღერალი.  
**- რუბენ ხუჭუა** - „რუბიკას“ ყველა იცნობდა თავისი დაკუნთული მარჯვენით, იყო ქალაქის „ყონი“, უსაშველოდ სამართლიანი.  
**- ომარ მალაზონია** - საოცრად უყვარდა ოზურგეთი და ოზურგეთელები, ჰქონდა და ღიზინი მეგობრების გვერდში მდგომელი.  
**- ნუგზარ შეწირული** - უმაღლესი კატეგორიის ექიმი-ქირურგი, მონაწილეობდა აფხაზეთის ომში, იყო სამხედრო პოსიტალის ექიმი რეანიმატორი, დარსა ოზურგეთის საავადმყოფოში რეანიმაციის განყოფილება, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა.  
**- ზურაბ მდინარაძე** - ნიჭიერი მსახიობი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის დასის წევრი, სცენაზე განახორციელა მრავალი მთავარი და ეპიზოდური როლი.  
**- მიშა ცენტრაძე** - უნიჭიერესი ინჟინერი, მის სახელთანა დაკავშირებული ჩვენს რაიონში არაერთი შენობა-ნაგებობის აშენება.  
**- მბები ჭანიშვილები** - პატი და აეთო, იყვნენ სასულე ორკესტრის მუსიკოსები, პატი (ამირანი) იყო ავტოინჟინერი, ზოლო ავთანდილი - ნავთობაზის თანამშრომელი.  
**- მბები კუნჭულიები** - გურამი და თენგიზი, უგანათლებულესი პიროვნებები, გურამი ჟურნალისტი, ზოლო თენგიზი ქალაქის ვიცე-მერი იყო, დაწერა წიგნი „ქალაქი და ტრადიციები“, რომელიც თითქმის ყველა ოზურგეთელის სამაგიდო სახელმძღვანელოა.  
**- მბები ქინჭაძეები** - ნუგზარი და ანზორი. ნუგზარი ცნობილი ჟურნალისტი იყო, ასევე დრამატურგი, მისი ნაწარმოებით შემქმნილი სპექტაკლი წლების მანძილზე იდგებოდა ოზურგეთის თეატრის სცენაზე. ანზორი იყო წარმატებული ინჟინერ-შენებელი.  
**- ვალიკო ჩანჩიბაძე** - დიდი მხედართმთავრის პორფირე ჩანჩიბაძის ძმისშვილი, არაჩვეულებრივად თბილი და კეთილი პიროვნება.  
**- სოლომონ გოგუაძე** - მასთან საუბარი ერთი დიდი ფორმატის წიგ-

ნის წაკითხვას ჰყავდა, ჩვენი „პუჭუ“ - ასე ეძახდნენ უახლოესი მეგობრები, იყო რეპრესირებული ოჯახიდან, მამამისი კირილე გოგუაძე იყო ოზურგეთის რაილმასკომის თავმჯდომარე, 1937 წელს ბრალად წაუყენეს ოზურგეთის თეატრის შენობის წამოწყება და დახვრიტეს.  
**- აკაკი ვობრონიძე** - ყოფილი მახარადის რაილმასკომის თავმჯდომარე და ჩონბატურის რაიკომის პირველი მდივანი, იყო არაჩვეულებრივი გამჭრიახი გონების და უზომოდ განათლებული.  
**- თამაზ სალუქვაძე** - ჟურნალისტი, წლების მანძილზე იყო გაზეთ „ღვინის დროშის“ და შემდგომ „ალიონის“ მთავარი რედაქტორი. ჰქონდა უღვივი იუმორი.  
**- დათიკო ფირცხელაშვილი** - წლების მანძილზე ცხოვრობდა საფრანგეთში, ნოსტალგიის მოძალების გამო ჩამოვიდა მშობლიურ გურიაში. დაიჭირეს და 15 წლით ციხეში გადასახლეს, მანვე ჩამოიტანა ოზურგეთში თამაში „ბელოტი“.  
**- გურამ ბურჭულაძე** - ცნობილი თამადა, ფოლკლორისტი, წლების მანძილზე იყო ელქსელის გენერალური დირექტორი.  
**- ჟორა ლომაძე** - ავტოინჟინერი, ოზურგეთში ჩამოსული სტუმრების მასპინძელი, კაცური კაცი.  
**- შაქრო მიქელაძე** - უნიჭიერესი ფიზიკოს-მათემატიკოსი, მრავალი თაობის აღმზრდელი.  
**- ზნა ურუშაძე** - ცნობილი მეცნიერი, დოქტორი, მახარადის რაიკომის ყოფილი მე-2 მდივანი, რაიონში დანერგა სოფლის მეურნეობის ახალი გზები.  
**- მიშოკო ვინჭარაძე** - გამორჩეული შრომისმომყვარობით, ელექტრიკოსობა მამამ - შალვამ (შანამ) შეასწავლა, იყო კეთილი და მეგობრული.  
**- რომან აროშიძე** - მიუხედავად მისი ოჯახური ტრადიციისა (მოულოდნელად დაეღუპა 2 ვაჟაკი), დარდებს გულში იკლავდა, იყო საოცრად სტუმართმოყვარე და კეთილი პიროვნება, ჰყავდა უამრავი ძმაკაცი.  
**- მბები ვასაძეები** - თენგიზი და ვასუკა, არაჩვეულებრივი ოჯახიდან, იყვნენ პურმარდიანები და თავაზიანები. სამწუხაროდ, ვასუკა ამ გაზაფხულზე გარდაიცვალა, თენგიზი წარმატებული ინჟინერი იყო.  
**- ბუჭუ მახარაძე** - ოზურგეთის კოლორიტის, ფაქო მახარადის ვაჟიშვილი, კეთილი, თავაზიანი და უადრესად მეგობრული.  
**- ზურა ქობულაძე** - ინჟინერ-შენებელი. სამშენებლო სამმართველოს ყოფილი უფროსი.  
**- მიშა ჩხარტიშვილი** - უადრესად პურმარდიანი, ხელგამწიდი, კეთილი და მეგობრის გვერდში მდგომი, წლების მანძილზე მუშაობდა ხელმძღვანელ სამუშაოზე, იყო „ხილბოსტანვაჭრობის“ დირექტორი და რიგი სოფლების კოლმეურნეობების თავმჯდომარე.  
 მინდა ჩემი მოკრძალებული მოგონებები ამ დიდ პიროვნებებზე დავამთავრო ბატონი ვიხო ნიშნაიანიის ლექსის კუბლეტით:  
 „მე ბოდიშს მოვიხდი ბინდისფერ წარსულთან,  
 რაც არ გამახსენდა ამ წამს,  
 ზოგჯერ სათქმელი უთქმელი სჯობიან,  
 უთქმელი სათქმელი არ მწამს.“

ამ ადამიანებმა ამ ქვეყანაზე სიკეთის დიდი კოცონი დატოვეს და გვასწავლეს, რომ თითოეულმა ჩვენგანმა ზოგჯერ შემა უნდა შევეუკუთოთ კოცონს, რათა არ ჩაქრეს და არ ჩაიფერფლოს უკუნითი უკუნისამდე.  
 ხსოვნა იყოს... ამინ!

კვირები კვირები...

უი „აგერ გაზუნას“ არჩვენს „გადე-აწყდ“ ... ნიკა მჭუტაძე, ფუმუღალაა, რა წიაღსვლები, რა ლოგიკა, არაააა, უნდა გამოვიტყდეთ, იმედია არ გაბიზარებთ, ევა ჩემი საყვარელი პოლიტიკოსი ... და ბარუკი ქარდავა და ზურაბ ხარატიშვილიც როგორ მომნატრება ... და ვამბე - მელაა რომ მოგვიწოდებენ, ხალხო გავერთიანდეთ, მეც მესება თუ იცით ??? ... არა, ისე ვერ დაუკარგავ, რეი ჩარლზი ან სტივი უანდერი უნდა იყო ვერ დაინახო ჩვენი ოპოზიციონერების მონდომება ხელისუფლების შესაცვლელად ბრძოლაში, მარა რავარც გურიაში იტყვიან, იმეგრი ბიჭებია წიფელას მოტკიცოვენ, მარა მერე სა წვილინ არ იცან, ბაქბუქი იცოცხლე, თან ვითომ ერთმანეთს რომ ატყუებენ გვერთიანდეთ, უკეთესი საპრეზო კანდიდატი შეგარჩიოთო, ამ დროს საკუთარი რომ უკვე გარკვეული ცაფო ... და ვინმეს მართლა ვერავს, რომ საკაშვილი და მისი სასტაგი ვინმეს უკეთესობას აღიარებს და მხარს დაუჭერს? თუ უგულვამ იმიტომ მიიხადა სროკი რომ მაგან და ბაქბუქს კიდევ საკაშვილის პანჩურები თიხინ ? თუ ბურჯანაძეს შეეცვლება როდესმე აზრი საკუთარ თავზე, რომ ერთაერთი, გენიალური, შემუშვარი და განუთქორებელი ??? ნუ, შალიკოზე არაფერს გამობ, საბავშვო ბაღში გარშემოქე რომ იფადა მას მერე პრეზიდენტობის უაღტრანტიკო კანდიდატა ... და თვითონ ვერავთ რასაც ლაპარაკობენ? არადა, ამ პოლიტმოუებს რომ გადავაწყდები, ხანდახან მართლა მინდება ზოლმე ზოგერთ პოლიტიკოსს სხვა თვლით, სერიოზულად შევხედო, მარა, 10 წუთში ვხვდები, კერცხს ვინდა პროფილში შესხედ და ვინდა ანუასში.

ზურაბ თოიძე

წყალი ჩვენი არსობისა...

ამ წერილის მომზადება ერთგვარი რუბლიკის სახით იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ ამს წინათ უწყლობის თემზე მუშაობდა შორის წამოჭრილი ღვაკი კნადამ სამეზობლო კონფლიქტსა და ხელმართულ დაკადამში გადახარდა.

აღნიშნული ინციდენტის თავიდათვი ის გარეობდა შეიქნა, რომ წლევანდელი უწყველოდ ნადრევი ზაფხულის ხვატის კვლადკვლად, მოელ სოფელში სასმელი თუ სარწყავი წყლის გაუსაძლისი დეფიციტი შეიქნა... მკითხველი პრობლემის არსში თავიდანვე რომ გაერკვს, აქ საუბარია სოფელ ქვედა ბახვის ერთ-ერთი ძირძველი უბნის მცხოვრებთა საზოგადოება-საფიქრებზე.

აღნიშნულ უბანში ამჟამად ოცილე ოჯახი თუ სახლობს. ადრე ამ ტერიტორიას სოფლის მკვიდრი საფოგებდ იყენებდა... თუელწლიობით აღნიშნულ მდამებში მდებარე საფოგებებს ჩამდინარე ბახვისწყალი ასახრდებდა.

მერე და მერე მდინარეც თანდათანობით შეიცვალა კალაპოტი. მდინარის წყალუხე შეწყდა ბახვის თითქოს კიდევაც დაიწყო... მდინარისპირა ლანდშაფტი დღეს თითქოს გაუცხოებულად გამოიყურება.

დაწრებული წყლის თაობაზე ძირძველი მეზობლები ლამის კიდევაც გადაიკიდნენ ერთმანეთს. - ხშირად შეესწრებოთ ისეთ სცენას, როცა კარის მეზობლები ერთმანეთს იმ დღეს მოხმარებული წყლის რაოდენობას უთვლიან და კიდევაც აყვირიან... გარკვეული პერიოდის განმავლობაში უბანს წყალი თუქცა შეეჭდორობოდა და უშედეგოთი ვრავიეთი მიქრობოდა, ოღონდაც სისტემატურად... ჰოდა, მას შემდეგ ქვედა ბახვის იმ უბნის მცხოვრებნი ამაღ დეჰქებენ ბორლი ჯადოქრის მანტაში გამოწყობილ არსებას, რომელმაც მათი ანკარა წყაროები დაუკითხა და მიტყა...

ზურაბ თოიძე



# 18 მაისი მუზეუმების სამართაშორისო დღეა

1977 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს გენერალურ კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ყოველწლიურად 18 მაისი აღინიშნება მუზეუმების საერთაშორისო დღედ. 2016 წლიდან საქართველოში ტარდება ევროპის საბჭოს მიერ ინიცირებული ყოველწლიური აქცია „ღამე მუზეუმში“ ამ კვირეულის ფარგლებში ჩართულია საქართველოში არსებული ყველა მუზეუმი.

მიმდინარე წელს „ღამე მუზეუმში“ გაიმართება 19 მაისს მუზეუმში ღია იქნება ღამის პირველ საათამდე (შესვლა უფასოა) და ვიზიტორები თავად გახდებიან იმ კულტურული ღონისძიების მონაწილენი, რომლებიც ჩატარდება აქციის ფარგლებში. წელს მთავარი თემაა „პირდაპირი მუზეუმები, ახალი მიდგომები, ახალი პუბლიკა“.

წელს-2018 წელს აღინიშნება საქართველოს პირველი რესპუბლიკის 100 წლისთავის იუბილე და აღინიშნულან დაკავშირებით „ღამე მუზეუმში“ ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებთან თემატიკაც საიუბილეოა.

როგორ ხდება ოზურგეთის მუზეუმთა გაერთიანება ამ თარიღს?

ჩვენდა სამწუხაროდ ცუდად, რადგან 2016 წლის 1 დეკემბრიდან ცნობილი მიზეზების გამო მუზეუმის ექსპოზიცია ჩამოიხსნა და მოთავსდა ფონდსაცავში 2017 წლის 10 ივნისის ძლიერმა წვიმამ შეარღვია ფონდსაცავში და ისე დაზიანდა, რომ ფონდისათვის გამოუსადეგარი გახდა. სამშენებლო ფირმამ, რომელიც ფოლკლორის ცენტრს არემონტება სასწრაფო წესით გავერემონტა ახალი ფონდსაცავი, სადაც ექსპონატები მოვითავსებ და ჩავატარებ ინვენტარისაკცია. მაგრამ ოთახი ძლიერ ნესტიანია, უპაერობა, ნესტი აზიანებს ექსპონატებს ყოველი დღე კატასტროფისთან გვახლოებს. ეს არის უნიკალური ექსპონატები, რომელიც მუზეუმმა თავისი არსებობის 82 წლის მანძილზე დააგროვა. მათ შორისაა 9000 წლის წინანდელი ქვის ხანის იარაღები ანასელიდან და გურიანთიდან, ადრეული, შუა და გვიანი ბრინჯაოს კოლხური ცულების კოლექციები. მელექტურის, შრომის, კაპიტალის, ბაღდადის მაკვანეთის, ლათიურის ბრინჯაოს განძები. ურეკ-წვერმაღალას გვიანი ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის სამარხული ინვენტარი, ანტიკური პერიოდის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: ვერცხლის ლანგარი, მინის

მუზეუმის საერთაშორისო დღეს აღინიშნავე ღია მუზეუმში, ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში, ჩავატარებთ თემატურ კონფერენციას თემაზე „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და გურია“.

**მანანა ლომაკაძე**  
ოზურგეთის მუზეუმთა გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.



**გამრავნილი დოკუმენტები მუზეუმში 2017 წ.**

წყალგაყვანილობის მიღები, სვეტის თავები, თიხის სასაქველვე, სარკმლის მინა, საამშენებლო აგური კრამიტი ადრე შუა საუკუნეების ვაშნარის ნაქალაქარიდან. მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური კოლექციები: ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მესამე საუკუნეების კოლხური თეთრი ალექსანდრე მაკედონელის ოქოს მონეტა, გიორგი მესამის, თამარის, რუსუდანიის, ლაშა გიორგის, სიმონ პირველის, ერეკლე მეორის მონეტები, „ოზურგეთის განძად“ წოდებული ვერცხლის უიშვიათესი ევროპული მონეტები. „ნაპოლეონის დაშლის“ სახელით ცნობილი ფრანგული ხმალი, მრავალი ფოტო ნივთები დოკუმენტური და ეთნოგრაფიული მასალა. ხელნაწერთა ფონდში დატულია მრავალი ხელნაწერი მათ შორის უნიკალურია ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნი, 1891 წელს ოზურგეთის სტამბაში დაბეჭდილი „კვიფხისტყალის“ „ოფიციალური დოკუმენტები ალექსანდრე ყაზბეგის ავადმყოფობის შესახებ, ყმათა გაყიდვის აქტები, სიგელები და სხვა.

მუზეუმში არსებული მდგომარეობის შესახებ ვაცნობთ როგორც შემდგომ კულტურის სამინისტროს ასევე ადგილობრივ მთავრობას. დაგვირდნენ დახმარებას. დღეისათვის გამოცხადებულია ტენდერი მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტისათვის. მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა მუზეუმი მისი დანიშნულების ორ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს - დაცვა-კვლევა შეძლებისდაგვარად ვასრულებთ, ხელნაწერთა ფონდით სარგებლობს მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტები, დოქტორანტები და გურიის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარები.

მუზეუმის საერთაშორისო დღეს აღინიშნავე ღია მუზეუმში, ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმში, ჩავატარებთ თემატურ კონფერენციას თემაზე „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და გურია“.

**მანანა ლომაკაძე**  
ოზურგეთის მუზეუმთა გაერთიანების ფონდების მთავარი მცველი.

# ქალაქი ოზურგეთი სატახტო პარლანისკე გურიელებისა

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ გაზეთი „ალიონი“ №1-8, 11, 15-18

რუბრიკას უძღვება მანანა ლომაკაძე ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის თანამშრომელი

ორ წელს ეგერა იმერეთის ტახტი „სამკვიდროდ“ და სიღვდრყოფილი თამარი ცოლად გიორგი გურიელს. ალექსანდრე IV-ის იმერეთა ახალი მეფის მიერ მოსყიდულმა იუსეფ ფაშას იანჩარებმა და მოაჯანყე იმერელმა დიდებულებმა ოზურგეთში გააძევეს იგი. თამარ პირმშვენიერმაც დასტოვა ქუთაისის ტახტი და თავის პირველ თანამეცხედრის ლევან III დადიანის სამშობლოში გაეშურა გიორგი გურიელისათვის ლაშქრის შესაგროვებლად, მაგრამ იქვე ეწვია სიკვდილი და განუშორა დღენი დარჩენილი ტრფიალებისა.

თამარის სიკვდილის შემდეგ იმერეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მოსურნე გიორგი გურიელმა ოდიშის სამთავროს დაადა თვალი და აქ უკვე აღსრულებულის კაცია ჩიქვანის ნაცოლარი გიორგი ლიპარტიანის დედინაცვალი და შოშიტა რაჭის ერსთავმა და ბუენი ლორთქიფანიძემ არა ინებეს (იმერეთის) მეფობა ალექსანდრე IV-სა, შეიკრიბნეს და მიერთნეს ესენი გიორგი გურიელსა...

გურიელმა ბრძოლად წარმოსულმა განმარცვა ხატი ელანქერისა ღვთისმშობელი, და ჰყო სამკაულად თვისად.

შეშოიკრიბა გურია, მოვიდა საჩინოს, მიერთნენ ჩიჯავაძენი, მერმე ლიპარტიანი ოდიშარი, რაჭის ერისთავი რაჭველით, ლორთქიფანიძენი და ლეჩხუმელი, ხოლო ალექსანდრეს დამთა აბაშიძენი და ზემოერნი... მიქელაძე გიორგი და მარგველი. ეწვენენ როკითს ურთიერთს და იქშია ბრძოლა ძლიერი (ქრონიკონს 1684-სა) დასწყვიდნენ და მოისრნენ ორგინითე უმრავლესნი. შემდგომად მოკლეს გიორგი გურიელი... ივლტოდეს სპანი მისნი... მოკლეს კვალად რაჭის ერისთავი შოშიტა... ჰყრობდნი გურიელ-ოდიშარი და იმერნი დაჰყიდნენ ვერცხლზედა.

გურიელთა ძირძველი გვარისა და ძველი ოზურგეთის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული 1660 წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში ქაიხოსრო გურიელისა აჭის ეკლესიისადმი „ზღვათა და ხმელთა განთქმული მოწამეთა მთავარო, წმინ-

დაო მთავარო, წმინდაო გიორგი აჭისაო, - აღნიშნულია საბუთში, აგვედრები მე, გურული ქაიხოსრო. მას ჟამსა ოდეს თქვენს საყდარს სიმაგრეშიდ ვიყავით, გამოგვიძახა დადიანმან ვამეხმა თავს დასახსმელი დიდი ლაშქარი იმერელნი, ოდიშარი, შარვაშიძე, ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდნენ, მოგვიხდნენ და შუა გურია დაარბიეს. და შენს მეტი ღონე არ გეკონდა და შიგ თქვენს ტაძარში შევიკაზმეთ. მივედი ოზურგეთს, სასახლეში დამაგრდნენ ისინი: დავესხით თავსა, გურული ჩვენი საპატიო კაცები დავირჩინეთ, წამოვიყვანეთ. მეორე დღეს ციხე-დარბაზი ვვიღეთ გიორგი შოუსტანი, დადიანის ძმა ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძე, ჯიჯავაძენი, ანჩაბაძენი, ჯუმათელი, სესიაშვილი, სარდალი იყო, ესენი ყველა დავირჩინეთ.

მოტანილი ცნობებიდან ნათლად ჩანს ოზურგეთის ციხე-ქალაქის შეუვალობა, მისი ძლიერება, ოზურგეთში სასახლე დგას. სასახლის ზღუდე მტკიცეა და საკმაოდ დიდიც. ვამეხ დადიანის თავ დასხმული დიდი ლაშქარი, იმერელი ოდიშარი, შარვაშიძე და სხვა მრავალი. საპატიო კაცებიც აქ არიან დამაგრებულ-დაბანაკებულნი. ოზურგეთის ამ სასახლესთან ერთად საბუთში „ციხე-დარბაზიც“ იხსენიება, რომელიც იერიშით აუღიათ ქაიხოსრო გურიელის იარაღადსხმულ მოლაშქრეებს „სადაც გამაგრებულნი ყოფილან შუა გურიის დამბრძენი“. გიორგი შოუსტანი, დადიანის ძმა ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძე, ჯიჯავაძენი, ანჩაბაძენი.

ეს ციხე-სიმაგრე და სასახლე როგორც ზემოთ მიუთითებ კასტელის ცნობებშიც იხსენიებს, მისი ნაშთი უნდა იყოს ის ძველი ზღუდე და გაღავანი რომელიც გურიის უკანასკნელმა მთავარმა მამია V გურიელმა შეაკეთა და სრულყო. 1658 წელს საქართველოს ესტუმრა კონსტანტინოპოლის პატრიარქი პაიოსისი, რომლის მოგზაურობის შესახებ ცნობები შემოგვინახა მისმა დიაკვნამ, მომავალმა პატრიარქმა ღვთისმამამ. სტუმრებმა 1659 წლის ზამთარი გელათის მონასტერში გაატარეს, შემდეგ ხობის



ლევან დადიანი

მონასტერში გადავიდნენ, რომელიც მდინარე ხობის მარცხენა ნაპირზე დგას. დიდ მარხვის დროს, - წერს ღვთისმამა, - გაიხსნა სანაოსნო სეზონი და ჩვენ ჩავსხედით იბერიულ ხომალდში და მდინარე ხობით დავეშვით შავი ზღვისაკენ და მოვალწით ფაზისს, რომელსაც ქართველები როინს უწოდებენ... ფაზისიდან მივეცურეთ ქობულეთში - გურიის ნავსადგურში. აქედან მდინარეს ავეყვეით ორი საათის განმავლობაში და მივედი გურიის მთავრის სასახლეში 1659 წლის 22 მარტს.

მოტანილი საბუთიდან ერთგვარად ირკვევა მართმადიდებლური ქრისტიანული მსოფლიოს საჭეთმყრობელთა-კონსტანტინოპოლის პატრიარქ პაიოსისის, დიაკვნ დოსი თეოსისა და მათი მხლებლების მარშრუტი გურიის ქვეყნის მიმართულებით ხობის მონასტერი მდინარე ხობი - მდინარე ფაზისი, შავი ზღვის სანაპირო ზოლი გურიის ნავსადგური ქობულეთი - გურიის მთავარი რეზიდენცია.

სამწუხაროდ დოსითეოს დიაკვნის ცნობაში არსად იხსენიება თუ გურიის ნავსადგურ ქობულეთიდან რომელი მდინარის საშუალებით მიადწიეს მათ გურიის მთავრის რეზიდენციას.

(გაგრძელება იქნება)

**მანანა ლომაკაძე**

# სულთანა ზაირა მარგალიტაქის ხსოვნას

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც თხინვალის საჯარო სკოლის პედაგოგებმა კიდევ ერთი ღვაწლმოსილი პედაგოგი - ზაირა მარგალიტაძე გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში თქვენ უამრავი სასიკეთო საქმე გააკეთეთ მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. სიყვარულსა და სიკეთის კეთებას უნერგავდით პატარებს, ასწავლიდით სამშობლოს სიყვარულს და გასაოცარ „აი იას“. საოცარი გარდასახვა შეგეძლო გაკეთებულზე ხელოვანივით, რომელიც ყველას არ ხელეწიფება.

რამდენი ტკბილი მოგონებები დაგვიტოვე ზაირა მასწავლებლო,



შეგეძლო ყველას მეგობარი ყოფიყავი, ასაკობრივი ზღვარი ხელს არ გიშლიდათ. სწორედ ამიტომაც დიდი

სიყვარულით გიხსენებენ არა მარტო პედაგოგები, არამედ თქვენი უკვე ზრდასრული აღზრდილები. ასეთი ტკბილი მოგონებებიც რჩეულითა ხვედრია.

გვემახსოვრები ხალისიანი, სასიამოვნოდ მოსაუბრე ქალბატონი, რომლის მიერ ჩატარებული გაკვეთილები არასოდეს დაავიწყდებოდათ თქვენს მოსწავლეებს.

ნათელი სასუფველი თქვენს სულს!

**თხინვალის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, ოზურგეთის რაიონული პროფკავშირი.**

თხინვალის საჯარო სკოლის პედაგოგიური თანაუგრძნობს პედაგოგ გონა გელაშვილს დედის, **თამარის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

# „მოიდანახელი“ თვითნაბადი მხატვრის პერსონალური გამოფენა

## „ამ არის რამდენიმე ნამუშევარი, რომელიც არც უნდა გაიყიდოს და არც უნდა გაჩუქდეს, იმდენი მოღვრნიშვია მათში“

თეატრ მარგანიშვილი



რაც 10 მაისს ქ. ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში ახალი ექსპოზიციის – თვითნაბადი (ალბათ, უფრო თვითნაბადი) მხატვრის ალექო ლომადის ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენის სახით ვიხილეთ, იმას, ყველასთვის გასაკვირებელია, უბრალოდ რომ ვთქვათ, მაღალი ხელოვნება ჰქვია.

მხატვარმა მშობლიურ ქალაქში თავის პირველ გამოფენაზე 130-ზე მეტი ნამუშევარი წარმოადგინა. თუ ამას დავუმატებთ ამ რიცხვზე დაახლოებით ორჯერ მეტ დამოუკიდებელს, მიხვდებით, რა ინტერესი გამოიჩინა ოზურგეთელმა საზოგადოებამ ამ გამოფენისადმი პირველივე დღეს. რასან ინტერესი ვახსენებთ, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ სახვით ხელოვნებაში ადგილობრივი ახალი სახელების წარმოჩენით, უპირველესად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია და პირადად მერი კონსტანტინე შარაშენიძე ინტერესდებიან, რომელთა ძალისხმევით ეს ღონისძიება შედგა.

როგორც ღონისძიების წამყვანმა, ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძემ გვითხრა, ალექოს ხატვა გაუთვითც-

ნობიერებდა დაუწყია ქვის ფერებით. საერთოდ ხატები ქვის ფერებით კეთდებოდა, რაც შეიძლება ამ თვითნაბადი მხატვარმა სულაც არ იცოდა, ისე შედგომა თავის შემოქმედებით საქმიანობას. ასე შეუქმნია დავითის, რუსთაველის, თამარის, ჩვენი უწმინდესის ილია II-ის სახეები და შემდეგ დაუწყია ფრესკების ხატვა. დღეს უკვე ალექოს ნამუშევრებს ხშირად ნახავთ საზოგადოებრივი გამოფენებშიც. ოზურგეთის გალერეაში მოტანილი ნამუშევრები კი, დაწყებული ქართული ანბანის დასურათებით და უსასრულობაში გადასული აბსტრაქციებით თვითმყოფადია, ქართულია, ძალიან ქართული.

ახალგაზრდა მხატვარს პერსონალური გამოფენა და აღიარება მიულოცა ქობულეთის მუზეუმის დირექტორმა რევაზ ტაკიძემ, რომელმაც გამოთქვა იმედი, რომ ალექო ლომადის ნამუშევრებს მალე იხილავს ქობულეთელი სახვითი ხელოვნების სპეციალისტები და მოყვარულები.

პალიტროსანმა მხატვარმა, ოზურგეთის სამხატვრო სკოლის დამაარსებელმა ვახტანგ მამეიშვილმა გაიხსენა ის დრო, როდესაც პატარა

ალექო სამხატვრო სკოლაში მიუყვანეს:

„ალბათ, სულ რამდენიმე დღე იყო და წამოვიდა. თავისუფალია, არც ერთ ჩარჩოებს არ ექვემდებარება. წარმოიდგინეთ, მერე პატრიარქმა ოთახშიც კი გამოუყო, დაჯექი და იმუშავეო. რა გითხრათ, მისი ყველა ნამუშევარი სხვადასხვა ემოციით არის დამუხტული“.

გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ თამაზ ღარჩიამ საზოგადოებას ამცნო, რომ ალექო დღეიდან ამ კავშირის სრულყოფილებიანი წევრია.

მხატვარს მომავალი წარმატებები უსურვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ირაკლი სირაძემ, რომელმაც თქვა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვის, ყველანაირად მხარს დაუჭერს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, რომლებიც, საბედნიეროდ, არც თუ ისე ცოტა გვყავს ოზურგეთში.

„მრავალფეროვნება, აბსტრაქცია, მოდერნიზმი, მაღალი გემოვნება, ნამდვილი ნიჭის გამოვლენა თვითნაბადი მხატვრისა. აბა, ჩვენ „სხვისნაწავლები“ ვართ. ისეთი სახეობაა, მისი მომავალი ჩანს“, – ასე შეაფასა თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ თავართქილაძემ ალექო ლომადის შემოქმედება. მისივე თქმით, „ამ არის რამდენიმე ნამუშევარი, რომელიც არც უნდა გაიყიდოს და არც უნდა გაჩუქდეს, იმდენი მოღვრნიშვია მათში“.

როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნათია თხილაიშვილმა აღნიშნა, ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანს სიცოცხლეშივე უნდა მიაგო პატივი: „ყველა ნიჭიერ და ღირსეულ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს ის, სიცოცხლეშივე უნდა მიაგო პატივი. მოხარული ვარ, რომ 26 მაისს ჩვენს ქალაქსაც ვაჩვენებთ ალექო ლომადის მაღალ შემოქმედებას“.



„მე თქვენ მიერ სხვადასხვა ფერებით დასურათხატებულ „ქართულ ანბანში“ საქართველო და თქვენი ქართველობა დაგინახე. თითოეული წერითი ნიშანი სუნთქავს მასში. თქვენ აქ დღეს გურიის მხატვართა შემოქმედებითი კავშირის წევრად აგირჩიეს. საზოგადოება „სანთელი“, რომელსაც მე დღეს აქ წარმოვადგენ, ხნობის საზოგადოებაა და დღეიდან თქვენ მისი საპატიო წევრიც იქნებით“, – უთხრა მხატვარს

ცნობილმა ფილოლოგმა ლალი ბასილაშვილმა.

და ბოლოს, რას შევიძინე ამ გამოფენიდან, მე რომ კოლექციონერი ვიყო: „ბედის ბორბალი“, „თავისუფლების ფასი“, „ქართველი კაცი“, „ვეროპა“, „რუსთაველის ფრესკა“, „მეველი თბილისი“... ეკ, რა აზრი აქვს ჩამოთვლას, აკი თანდილა თავართქილაძემ თქვა ისეთებია, არც უნდა გაიყიდოს და არც უნდა გაჩუქდესო.



## ფუნაბორიები

წინაპართა ნაჭედი ხარ, დაგვიფარე, ფარო, სანამ  
სულ მთლად, დედაბუდიანად შეგვკვამა ამ ფაროსანამ...  
XXX  
სკანდალია, სეირია, ისევ ბოლავს პრესის დენთი:  
პარლამენტმა დაგვიჩაგრა ქვეყნის სუპერ-პრეზიდენტი...  
XXX  
წუხელ მინისტრად დანიშნეს ერთი პატარა „ქოცია“,  
მინისტრი არა, ლაპია, ცხვირი ვერ მოუხსოცია...  
XXX  
ლარი ავარდა, დავარდა, ვშიშობ არ დამრჩეს ვალია,  
ტომარა ფქვილში გაცვლილი მო----- არჩევანია...  
XXX  
თვითმმართველობა ბურჯგნაობს, გამგებლებს ცვლიან  
მერები,  
ხალხს ჯერ მახათი წაართვეს, მერე უჩვენეს ყ-----...  
XXX  
სემინარ-ტრენინგებზე გვიწვევს მესამე სექტორი,  
არ მიანდოთო მთავრობას დემოკრატიის ვექტორი...  
XXX

კოკა თელია

## მეზობლის ჩეხიონატი კაიაკინგში დასრულდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედში, ექსტრემალური კაიაკინგის ევროპის ჩემპიონატი „Bzhuzha Race“ დასრულდა. სპორტსმენები სამი დღის განმავლობაში მდინარე ბჟუჟზე ნაგებით დაშვებას ახორციელებდნენ.

შეჯიბრის დასრულების შემდეგ გამარჯვებული კაიაკერები გამოვლინდნენ. პირველ ადგილზე მამაკაცებს შორის, ავსტრიიდან ანდი ბრუნერი, ხოლო ქალებს შორის ჩეხეთიდან ბეტი ბრაბკოვა გავიდა.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

მცირე წვიმა +11+18 14 მაისი ორშაბათი	ღრუბელი +12+19 15 მაისი სამშაბათი	მზიანი ღრუბელი +12+22 16 მაისი ოთხშაბათი	მზიანი ღრუბელი +13+24 17 მაისი ხუთშაბათი	მზიანი ღრუბელი +12+26 18 მაისი - პარასკევი	მცირე წვიმა +16+21 19 მაისი შაბათი	მზიანი ღრუბელი +15+23 20 მაისი კვირა
---	--	---	---	---	---	---